



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი)

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018წ. - ოქმი N1 (დანართი №7)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

მოამზადა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური _____

შეამოწმა: იურიდიული სამსახური _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო
დოკუმენტის No: IBSU.R36.I02G _____

ვერსია: 1.00
განახლების თარიღი:

შეუმოწმებელი ვერსია შემოწმებული ვერსია

დამტკიცების თარიღი:
18/01/2018

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ
ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები	3
ცვლილებების ნუსხა.....	4
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	5
მუხლი 2. ხარისხის კულტურის კონცეფცია	7
მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება	8
მუხლი 4. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება.....	9
მუხლი 5. უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების მონიტორინგი.....	11
მუხლი 6. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.....	12
მუხლი 7. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.....	13
მუხლი 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	13
მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება	14
მუხლი 10. დასკვნითი დებულებები.....	14

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.			

თავდაპირველი რედაქცია: 18.01.2018

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
---	--------	-------	----------

01			
----	--	--	--

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფისათვის შიდა მექანიზმებს.
- 1.2. წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტში ასახული მექანიზმები მოდიფიცირდეს, გაუქმდეს და/ან დაემატოს ახალი.
- 1.3. წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, მათი მუდმივად განვითარების მიზნით. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული შეფასებების შედეგები გაითვალისწინება უნივერსიტეტის ყველა მმართველი რგოლის მიერ და შემდგომი გადაწყვეტილებები, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვა-განვითარებისათვის, მიიღება აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით.
- 1.4. დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმვა-განხორციელება-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის მიდგომას:
 - 1.4.1. დაგეგმვის (სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ცალკეული საკითხების შეფასება, შედეგების ანალიზი) მიზნებისათვის ხარისხის სამსახური შეიმუშავებს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს, სადაც მოკლევადიანი გეგმა მოიცავს:
 - 1.1.4.1 საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიკაცია-განვითარებას ყოველი აკადემიური წლის/სემესტრის დასაწყისში შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად;
 - 2.1.4.1 ადგილობრივი შრომის ბაზრის შესწავლისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამების განვითარების დაგეგმვა;

- 3.1.4.1 აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა-განვითარების და ახალი კადრების მოზიდვის დაგეგმვა;
 - 4.1.4.1 სწავლების მეთოდების ეფექტურობის ანალიზი და სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვის დაგეგმვა;
 - 5.1.4.1 დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე მიმდინარე პროცესების, მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დაგეგმვა;
 - 6.1.4.1 სასწავლო პროცესის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზებისა და საშუალებების დაგეგმვა;
 - 7.1.4.1 უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.
- 1.4.2. ხოლო გრძელვადიანი გეგმები მოიცავს:
- 1.1.4.2 საერთაშორისო დასაქმების ბაზრის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზი და მის შესაბამისად, პროგრამების განვითარებისა და ცვლილებების დაგეგმვა;
 - 2.1.4.2 საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად, მათი საერთაშორისო პროგრამებში ჩართვის დაგეგმვა;
 - 3.1.4.2 საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის კვლევა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.
- 1.4.3. განხორციელება-შემოწმება გულისხმობს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული გეგმების განხორციელების მიზნით, შესაბამისი ფუნქციების განაწილებას პასუხისმგებელ პირებზე და პროცესების განხორციელების პერიოდულ მონიტორინგს, მათ შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, პროგრამით გათვალისწინებული

კომპონენტების სილაბუსით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს და სხვ. ამავე ეტაპზე ასევე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება (SWOT ანალიზი), რომელიც მოიცავს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებას, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და სხვ. უნივერსიტეტის მიერ ინტერნეტ-სივრცეში გამოყოფილია სპეციალური პორტალი სადაც როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს თავისი აზრი, შეფასებები, შეთავაზებები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შედეგების ანალიზს და იმის დადგენას, თუ რამდენად სწორად და ეფექტურად მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები, მიიღება თუ არა სასურველი შედეგები.

- 1.4.4. განვითარება გულისხმობს შემოწმების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, მათ შორის, სასწავლო კურსების სილაბუსების და/ან საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის ცვლილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეულ იქნას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული სისტემის შექმნა და ზოგადად პროცესებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. ხარისხის კულტურის კონცეფცია

- 2.1. ხარისხის კულტურა არის გაზიარებული ღირებულებების, რწმენისა და იმ ნორმების ერთობლივი სისტემა, რომელიც ეფუძნება სტუდენტის ინტერესებს და უწყვეტად აუმჯობესებს განათლების ხარისხს, კვლევასა და ინსტიტუციონალურ სერვისებს. ხარისხის კულტურა მიმართულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ასპექტის გაძლიერებისაკენ, მათ შორის თანამშრომლის დაქირავებასა და დაწინაურებაზე, მათი კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე. ხარისხის კულტურა უზრუნველყოფს მართვის სტილის გაუმჯობესებას, გადაწყვეტილების მიღების, ორგანიზაციულ სტრუქტურის, სამუშაო პროცესისა და ორგანიზაციის დაგეგმარებას.

- 2.2. ხარისხის კულტურა ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:
 - 2.2.1. დაინტერესებული მხარის კმაყოფილება;
 - 2.2.2. დასაქმებულის ჩართულობა და უფლებამოსილება;
 - 2.2.3. ფაქტზე დაყრდნობილი პრობლემების მოგვარება და გადაწყვეტილების მიღება;
 - 2.2.4. კორპორატიული ცხოვრების წესის უწყვეტი გაუმჯობესება;
 - 2.2.5. ორგანიზაციაში გუნდური მუშაობა;
 - 2.2.6. პროცესების მართვა;
 - 2.2.7. ჯილდოები და აღიარება.
- 2.3. ხარისხის კულტურის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, უნივერსიტეტში მუდმივად უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
 - 2.3.1. ცვლილების საჭიროება;
 - 2.3.2. არსებული ინსტიტუციონალური ხარისხის კულტურის დიაგნოსტიკა;
 - 2.3.3. სასურველი კულტურის განსაზღვრა, რომელიც ემხრობა ინსტიტუციონალურ ხედვასა და სტრატეგიას;
 - 2.3.4. ყველა დონისთვის შესაბამისი ტრენინგების გამართვა;
 - 2.3.5. სასურველი ხარისხის კულტურის შესაქმნელად პროგრესის შეფასება;
 - 2.3.6. მენეჯერებსა და დასაქმებულებს შორის ორმხრივი ნდობის ჩამოყალიბება.

მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება

- 3.1. უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის დაკავების მსურველი კანდიდატი, რომელსაც გამოცხადებულ ვაკანსიაზე შემოაქვს განაცხადი, წარმოადგენს მის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიშს წინამდებარე დოკუმენტის დანართი N1-ის თანახმად, რომლის შესაბამისობას უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესთან“ ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამავე დებულებით დადგენილი წესით.
- 3.2. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სემესტრულად და წლიურად.

- 3.3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესის განხორციელებისა (ლექციების მიმდინარეობა, ლექციებზე დაკვირვება, ელექტრონული სისტემის წარმოება (SMART, SIS), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, გამოცდების მონიტორინგი და ა.შ.) და მათი აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სტუდენტების გამოკითხვა და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N2-ში მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, რომელთა ანალიზი ხორციელდება აკადემიური წლის ბოლოს, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N3-ში ასახულ ფორმაში მოცემული ორივე სემესტრის შედეგების მიხედვით.
- 3.4. აკადემიური პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო მოღვაწეობა ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილეობის, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N4-ის მიხედვით, მასში მოცემული ქულაობრივი მაჩვენებლებით.
- 3.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვას და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასებას აღნიშნული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის დანართი N5-ის საფუძველზე.

მუხლი 4. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება

- 4.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებას და შედეგებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
- 4.2. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის და კმაყოფილების კვლევას.
- 4.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიურად იძლევა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

- 4.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ლექციების მონიტორინგს ლექციებზე დასწრების მეშვეობით და აფასებს მას სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N6-ის მიხედვით.
- 4.5. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს სტუდენტები, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით, აფასებენ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო/კვლევით კომპონენტებს და მათ განხორციელებელ ლექტორებს, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N7-ის მიხედვით.
- 4.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოკითხვას და აღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, აფასებს სტუდენტთა კმაყოფილებას უნივერსიტეტის ადამიანური (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) და მატერიალური რესურსების თაობაზე.
- 4.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერები წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების თაობაზე ჩატარებული გამოკითხვების შედეგების შეჯამების საფუძველზე, განხორციელებული საგანმანათლებლო და სხვა აკადემიური პროცესების ანალიზისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სათანადო აქტივობების დასაგეგმად, განიხილავენ აღნიშნულ შედეგებს შესაბამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ცალ-ცალკე.
- 4.8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, უნივერსიტეტში არსებული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის განვითარების გეგმას წინამდებარე დოკუმენტის დანართი N8-ის მიხედვით. ასევე განიხილება სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგები.
- 4.9. ზემოაღნიშნული გამოკითხვებისა და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეცნობება შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და უნივერსიტეტის რექტორს, განიხილება მათ მიერ და იგეგმება შემდგომი აქტივობები საგანმანათლებლო და მასთან დაკავშირებული, უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების მონიტორინგი

- 5.1. უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების მონიტორინგის მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (SIS) ასახული აკადემიური შედეგების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ანალიზს.
- 5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის მიზნებისათვის, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (SIS) ასახული შედეგების მიხედვით, თუკი საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ ლექტორთან დარეგისტრირებულ სტუდენტთა (როცა ჯგუფში დარეგისტრირებულია ათი და მეტი სტუდენტი) 30% შეფასებულია 91-100 (ფრიადი, A) ან მაქსიმალური შეფასების 40 ქულით ან ნაკლებით (F, ჩაიჭრა), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის ლექტორთან ერთად ახორციელებს ამ კომპონენტის ფარგლებში წარმართული საგანმანათლებლო პროცესის ანალიზს, სწავლების მეთოდებისა და სალექციო კურსების წარმართვის ხარისხის შეფასებას. ასეთ შემთხვევაში დაკვირვება წარმოებს დინამიურად, რამოდენიმე სემესტრის განმავლობაში.
- 5.3. სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მოქმედებს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი ამავე პუნქტში მითითებული სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლის დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუკი ამ საფეხურებზე არ არის დაკმაყოფილებული ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი, მცირერიცხოვან ჯგუფებში მონიტორინგს ექვემდებარება სტუდენტთა ჩაჭრის მაღალი მაჩვენებელი.
- 5.4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-6 მუხლის 6.1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთსა და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ ჩაჭრის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თავიდან არიდებისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ლექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეთვალყურეობით, უნივერსიტეტში მოქმედებს „სასწავლო ასისტენტის“ (Teaching Assistant – TA) სისტემა.

- 5.5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სისტემის ფარგლებში, ლექტორის რეკომენდაციით, სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს იგივე კომპონენტი მაღალი აკადემიური შედეგებით, სასწავლო პროგრამის ათვისებაში ეხმარება იმ სტუდენტებს, რომლებმაც ერთხელ მაინც მიიღეს უარყოფითი შეფასება იმავე საგანში.
- 5.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიება სარეკომენდაციო ხასიათისაა, რომლის გამოყენებასაც პროგრამის ხელმძღვანელი და/ან ლექტორი სთავაზობს სტუდენტებს, რომლებმაც კომპონენტში მიიღეს უარყოფითი შეფასება. სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი, კომპონენტის ლექტორთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს მე-3 პუნქტით განსაზღვრული სასწავლო ასისტენტის გამოყოფას ამავე საგანში მაღალი აკადემიური შედეგების მქონე სტუდენტთაგან.
- 5.7. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სასწავლო ასისტენტის აქტივობები იმ სტუდენტისათვის, რომელიც შერჩეულ იქნა ასისტენტად, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ შეიძლება ასახულ იქნეს სტუდენტის დიპლომის დანართში (დამატებითი ინფორმაციის ნაწილში) და/ან მიეცეს სერტიფიკატი.

მუხლი 6. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

- 6.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და მათ შესაბამისობას კანონმდებლობით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამების შეფასება სამსახურის მიერ ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის დანართი N9-ის მიხედვით.
- 6.2. საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N10-ის მიხედვით.
- 6.3. საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება დამსაქმებელთა მიერ, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N11-ის მიხედვით.
- 6.4. ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისა და სტუდენტთა შეფასებების შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების/განვითარების მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით.

- 6.5. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმებას ხარისხის სამსახური ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტის დანართი N12-ის მიხედვით.

მუხლი 7. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

- 7.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, რომლის განხორციელებასაც გეგმავს უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის შიდა აქტებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტებთან ერთად, ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელთაც წარედგინებათ აღნიშნული პროგრამა შემდგომი შეფასების მიზნით.
- 7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას სტუდენტები ახორციელებენ წინამდებარე დოკუმენტის დანართი N13-ის მიხედვით, კურსდამთავრებულები - დანართი N14-ის მიხედვით, ხოლო დამსაქმებლები - დანართი N15-ის მიხედვით.

მუხლი 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 8.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.
- 8.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის, მობილობის წესით ჩარიცხვის, განათლების აღიარების, აკადემიური ჩამორჩენის, სპეციალური საჭიროებების, სტუდენტის მიერ მოთხოვნის და სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში.
- 8.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.“
- 8.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწევს მონიტორინგს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დანერგვის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში იძლევა გეგმის მოდიფიცირების რეკომენდაციებს.

- 8.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც წესი, ფორმდება წერილობით, რომელიც იწინააღმდეგება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო ასლი ეძლევა სტუდენტს თავისი სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის.

მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

- 9.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
- 9.1.1. თვითშეფასება (სამსახურის საქმიანობისა და ფუნქციების შესრულების ხარისხის, საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებისა და სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების დაგეგმილ ვადებში შესრულების დინამიკის შეფასება);
 - 9.1.2. ინსტიტუციური კვლევებით მიღებული შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შემუშავება;
 - 9.1.3. ინსტიტუციური კვლევებით მიღებულ შედეგებზე რეაგირების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება.
 - 9.1.4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისთვის გარე ექსპერტების მოწვევა და მიღებული რეკომენდაციების მიხედვით საჭირო ცვლილებების განხორციელება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

- 10.1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
- 10.2. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

